სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/70634

03 / დეკემბერი / 2019 წ.

**შპს "ნიუ ჰორიზონ" (ს/ნ 405126448)**
**დირექტორი: სერგო კვანტალიანი (პ/ნ 62001015364).**
**მის.: თბილისი, ქავთარაძის 5, ბინა N80 ელ.მის: kvanto01@mail.ru**

თქვენი 2019 წლის 15 ოქტომბრის (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო") რეგისტრაციის ნომერი 106901/ფ, 15.10.2019 წელი), 2019 წლის 8 ნოემბრის (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 115976/ფ, 08.11.2019 წელი) და 2019 წლის 21 ნოემბრის (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 120617/ფ, 21.11.2019 წელი) განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ მათზე თანდართული დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება სააგენტოსა და შპს „ნიუ ჰორიზონს" (ს/კ 405126448) (შემდგომში „მყიდველი") შორის 06.12.2016 წელს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება") 4.1.4 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ხელშეკრულების თანახმად გადაცემულ ქონებაზე ასაშენებელ მრავალფუნქციურ კომპლექსში ნიურა და თენგიზ კოპალიანების, დავით, ლევან და მიხეილ მიქაძეებისა და ლია ქარუმიძისათვის 3 ერთეული ბინის საკუთრებაში გადაცემამდე, აღნიშნული პირებისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში 3 ერთეული ბინით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა) 06.11.2019 წლის მდგომარეობით შესრულება.

აქვე გაცნობებთ, რომ მყიდველის მიერ შესასრულებელი რჩება ხელშეკრულების 4.1.1, 4.1.2, 4.1.3.ა, 4.1.3.ბ, 4.1.4.ა და 4.1.4.ბ მუხლებით გათვალისწინებული და მათგან გამომდინარე ვალდებულებები.

დამატებით შეგახსენებთ, რომ მყიდველმა ხელშეკრულების 4.1.4.ა და 4.1.4.ბ მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ხელშეკრულების 4.1.8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტი (მოსარგებლე პირ(ებ)ის სანოტარო ფორმით დამოწმებული წერილობითი დოკუმენტი) სააგენტოში უნდა წარმოადგინოს **არაუგვიანეს 15.04.2020 წლისა**, ხოლო შემდეგ ყოველ 6 თვეში ერთხელ.

ამასთან გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის ნინააღმდეგი ხელშეკრულების 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების (პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, ხელშეკრულების თანახმად გადაცემულ ქონებაზე მრავალფუნქციური (მათ შორის, საცხოვრებელი დანიშნულების) კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფა, ასევე ქონების ან/და მისი ნაწილის კეთილმოწყობა (რაც მოიცავს (შაგრამ) შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) ქონების ან/და მისი ნაწილის შემოღობვა, გამწვანება და გარე განათება; ვალდებულების შესრულების მიზნით არანაკლებ 1 200 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება) შესრულების მიზნით განგესაზღვროთ დამატებითი ვადა არაუგვიანეს 2020 წლის 7 დეკემბერი (უქმე და დასვენების დღეების გათვალისწინებით).

დამატებით გაცნობებთ, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრა არ გათავისუფლებთ ზემოხსენებული ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში (06.12.2019 წელი) შეუსრულებლობისათვის, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდისაგან, რომელიც მყიდველს დაეკისრება 07.12.2019 წლიდან ვალდებულების შესრულებამდე. შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 500 ლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების ჯეროვან შესრულებამდე, ხოლო ხელშეკრულების 7.4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 4.1.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ს დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების ჯეროვან შესრულებამდე.

ამასთან შეგახსენებთ, რომ „ქალაქ თბილისში, თემქის დასახლებაში (კინოთეატრი „სიხარული") მდებარე 3184 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1-№ 2 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ" სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 17 ოქტომბრის № 1/1-3470 ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად

მყიდველი ვალდებულია წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ხელშეკრულების 3.1, 4.1.1, 4.1.3 და 4.1.4 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების (მათ შორის აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, რომლის მოქმედების ვადაც ხელშეკრულების 4.1.3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს 4 თვით. ვინაიდან წინამდებარე წერილით ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის განგესაზღვრათ დამატებითი ვადა, გთხოვთ **წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა** წარმოადგინოთ არანაკლებ 08.06.2021 ნლამდე მოქმედი ახალი/ვადაგაზრდილი საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს 4.1.1, 4.1.2, 4.1.3 და 4.1.4 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე



file:///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/ed1f1e42-901a-4f65-99ee-8c01a057520c.html